

ჭიათურელი იზოტოველები — მწერლებს

(ჭიათურის მარგანცის ამხ. ლენინის სახელობის მალაროების ახალგაზრდა კომკავშირელ იზოტოველების წერილი საქართველოს საბჭოთა მწერლებს)

ძვირფასო ამხანაგებო! პარტიისა და პროლეტარიატის საყვარელმა ბელადმა ამხ. სტალინმა საბჭოთა მწერლებს სულის ინჟინერები უწოდა. ამ ორი სიტყვით გენიალურადაა შეფასებული ჩვენი მწერლების წინაშე მდგარი ამოცანები.

მარალაც და მწერალი, რომელიც ცხოვრობს და შემოქმედებას ეწევა სოციალიზმის ქვეყანაში, არ შეიძლება ღრმად არ იცნობდეს ჩვენი დროის ადამიანის სულისკვეთებას, მის მისწრაფებებს მაღალხარისხიანი და იდეურად გამართული ლიტერატურული ფაქტების მოსაცემად.

მწერალთა საკავშირო ყრილობამ, რომლის შედეგებს დაწვრილებით გავცანით ჩვენ, ეს ფაქტი ნათელიყო.

მაგრამ ეს არასგზით არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სულის ინჟინერებს ყველაფერი რიგზე აქვთ. ჩვენ გვინდა საქართველოს მწერლების ყურადღება შევაჩეროთ მხატვრულ ლიტერატურაში ახალგაზრდა კომკავშირელი იზოტოველების მოცემია საკითხზე. გვეყვანან თუ არა ჩვენ იზოტოველები ახლა? ამაზე უკვე აღარ დაობენ. ასეთები არიან.

რად ღირს თუ გინდ ასეთი მაგალითი: მარგანცის იზოტოველმა კომკავშირელმა შურა სამხარაძემ შეჯიბრებაში გამოიწვია ნიკოპოლის მარგანცის იზოტოველი კომკავშირელი მწერეველი ამხ. სერედა. შეჯიბრების ხელშეკრულების შემოწმებამ გამოარკვია, რომ სამხარაძემ გაიმარჯვა სერედაზე. გამოირკვა, რომ სამხარაძე მეტადაა დაუფლებული მარგანცის მრგველის ტექნიკას, ვიდრე სერედა. მიუხედავად იმისა, რომ სერედა დამარცხდა, იგი მაგრად ართმევს ხელს საუკეთესო მეგობარს, ჭიათურის ახალგაზრდა იზოტოველს და გამოთქვამს სურვილს—შეჯიბრება მათ შორის გაგრძელდეს 1935 წლის ბოლომდე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს მაგალითი, რომლის მსგავსი სხვაც ბევრია მარგანცი-ხათვის ბრძოლის ფრონტზე, საუკეთესო მასალაა აქნება ლიტერატურაში მომუშავე ამხანაგებისათვის.

მაგრამ...

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს და მსგავსი მდიდარი მასალები დაუმუშავებელი რჩება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს მიერ მოქმედი წერაქვი აჩქარებს ნათელ მომავალთან მიხედვას

ჩვენი წერილი არამარტო ლენინის სახელობის მაღაროების იზოტოველების წერილია, იგი მარგანცის ვრონტის იზოტოველების, მთელი ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა იზოტოველების წერილიცაა, და ჩვენც გვჯერა, რომ იგი უყურადღებოდ არ დარჩება.

ახალგაზრდული, კომკავშირული მონღომებით ვიზრდობთ შევინარჩუნოთ იზოტოველების სახელი და ქვეყანას მივცეთ 2-3-ჯერ მეტი მარგანცი, ხოლო თქვენ ჩვენს ბრძოლის მაჩვენებლები მხატვრულად ამეტყველოთ, რომ ამით მეტი სიმხნევე და თავდადება გამოიმუშავდეს ჩვენში დიდი და დიადი საქმის—სოციალიზმის საქმისათვის.

- 1. საქართველოს მწერლები: ს. მ. მ.
2. ქვეყნის იზოტოველები: ი. თ. თ.
3. მ. მ. მ.
4. ნეკრასოვი: კ. მ. მ.
5. ნეკრასოვი: თ. თ. თ.
6. კომკავშირელი ამხანაგები: ს. კომკავშირელი



ჭიათურელი იზოტოველები ნახატი აპოლონ ქუთათელაძისა

ლიანვერილი

გაზეთ „მებრძოლ ათეისტის“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს ღია წერილი საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართ.

ღია წერილში აღნიშნულია მხატვრული სიტყვის მნიშვნელობა რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

„არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას—ნათქვამია წერილში—რომ საქართველოს მშრომელთა შეგნებიდან რელიგიის ნაშთები უკვე აღმოფხვრილა, რომ ამ მავნე ნაშთის წინააღმდეგ ბრძოლა აღარაა საჭირო“...

„ეს კი იმას ნიშნავს, დასძენს წერილი, რომ ანტირელიგიურ პროპაგანდას საერთოდ, განსაკუთრებით კი სოფლად, ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა აქვს“.

„ამიტომაც მოგბართავთ თქვენ ამხ. მწერლებს:

მიეცით ჩვენი ქალაქისა და სოფლის კლუბებს, სკოლებს რიგიანი ანტირელიგიური პიესები, მიეცით ჩვენს მუშას და კოლმეურნეს, ჩვენს ბავშვებს მხატვრულად და იდეოლოგიურად გამართული ანტირელიგიური მოთხრობები, პიემები, ლექსები, რომლებშიაც ასახული უნდა იყოს რელიგიის რეაქციულ-კონტრრევოლუციური ბუნება და რომლებშიც იხსენიება რელიგიის საფართო შენიღბულ, ჩუმად მოსისინე, ჩუმად მოქმედ კულაკის გამოცნობას, კლასობრივი მტრების ნამსხვრევების საქმისა და სიტყვის წინააღმდეგ სტალინისებურ ბრძოლას, უკლასო, ურელიგიო, სოციალისტური საზოგადოების შეგნებულად და აქტიურად შენებას“.

ამ ღია წერილმა უნდა ჰქოოს საბჭოთა მწერლებს შორის სათანადო გამოძახილი.

მკითხველთა საყურადღებოდ

ჩვენი გაზეთის „მედივი ნომერი გამოვა 6 მაისს, გამოასვენებ დღისთვის ზვილისში ბანიში 5-ში ნაშუაღამის

აკაკის სალამო

აკაკის გარდაცვალებიდან ოცი წლის თავის აღსანიშნავად გამართულ საღამოს მსმენელთა დიდი რაოდენობა მოაწყდა. მწერალთა სასახლიდან საღამოს სახელდაელოდ განათლების მუშაკთა სახლში გადატანა შეიქნა საჭირო. მაგრამ აქაც მოზავებულ ხალხის დიდი ნაწილი ვერ შემოვიდა იმდენად დიდი იყო აკაკისადმი პატივისცემის გამოხატულება დასებში.

საღამო გაიხსნა ამხ. მ. ტოროშვილის ვრცელი შესავალი სიტყვით. ორატორმა დაახასიათა პოეტი, როგორც ქართული ლიტერატურის სიამაყე (ამხ. ტოროშვილის სიტყვა მთლიანად დაიბეჭდება ჟურნალ „მნათობში“). შემდეგ გამოვიდა ამხ. ბ. ჟღერტი, რომელმაც ილაპარაკა კლასიკოსების საკითხში ორი გადახრის შესახებ: მათ დაუუყავებლობაზე და მათი იდეებისადმი უკრიტიკო დამოკიდებულებაზე.

ამხ. პ. ქიქოძემ დაახასიათა აკაკი, როგორც პოლიტიკური პოეზიის კლასიკოსი, უდიდესი პოეტი შოთას შემდეგ, და ახალი ტიპის საზოგადოებრივი ბრძოლის აქტიური მონაწილე პოეტისა.

ლიტერატურაში უკვე ცნობილი მოგონებები წაიკითხა შ. დადიანმა, რომელსაც აუდიტორია (აკაკის ცხოვრებიდან ყოველი მოსწრებული მომენტის მოყოლისას)—დიდი სიხარულით ხვდებოდა.

ამის შემდეგ გამოვიდა რამდენიმე ორატორი მოგონებით.

პოეტები—თავიანთი ლექსებით აკაკიზე (ა. აბაშელი, ვ. ვაბესკირია და სხვ.)

გლეხი მეღვინის ი. მირიანაშვილის გამოსვლამ აუდიტორიის ცოცხალი ინტერესი გამოიწვია. გამოსულ ორატორებს შორის, სამწუხაროდ, იყო ერთი დისონანსი: რაიონიდან (ოზურგეთი) ჩამოსულ ერთერთ ორატორის სიტყვაში იყო პოლიტიკურად მიუღებელი მომენტები (განცხადება იმის შესახებ, თითქოს მხოლოდ ახლა დაუბრუნეს კლასიკოსებს „პასპორტი“, თითქოს ოდესღაც რუსეთის და ქართველი ერები გადაკიდებული იყვნენ და სხვ.).

საღამოს დასასრულ აკაკის სასიმღერო ლექსები იმღერეს ოპერის მომღერლებმა—ნიშვილმა, მარაშიძემ, თოიძემ და ყვარულიშვილმა.

მეზონგურეთა გუნდმა, მეგრელიშვილის ხელმძღვანელობით, დიდი წარმატებით შეასრულა აკაკის ლექსი „ჩონგური“.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა საღამომ ვერ ამოსწორა ის ინტერესი, რომელიც აკაკისადმი მისი გარდაცვალების 20 წლის თავთან დაკავშირებით, მასში კვლავ უფრო აღვივდა და ამიტომ, ჩვენის აზრით, არ იქნებოდა ზედმეტი, რომ ასეთი საღამო უფრო დიდი პროგრამით, სხვა უფრო დიდ დარბაზში გაიმართებოდეს.

კიდევ ერთი შენიშვნა: რედაქცია ყოველ დღე ღებულობს სულ ახალ-ახალ მასალებს აკაკის ამა თუ იმ გამოცემის ან მოგზაურობის შესახებ, ცნობებსა და შენიშვნებს მისი ბიოგრაფიის შესახებ, ცალკე გამოუქვეყნებელ მასალებს, ჟიურის, მისალმებებს და განსაკუთრებით ახალგაზრდები (ოლიმპიადის მასალები) აკაკისადმი მიძღვნილ ბევრ ლექსებს გვიგზავნიან; ასე რომ მასალების რაოდენობა აკაკიზე თითქმის უდრის რედაქციაში შოთაზე გამოგზავნილ მასალებს. რედაქცია ყოველივე საინტერესოს გამოაქვეყნებს მომავალშიაც. იმას კი, რასაც ვერ გამოაქვეყნებს, დაავრთებს და გადასცემს სათანადო არქივს ან მწერალთა მუზეუმს.

კოეტი ქალი ქეთევანი

ლევან ასათიანი

ქეთევანი იყო ირაკლი მეფის ასული, და უმცროსი და მარიამ ბატონიშვილისა. იგი ცნობილია ერთადერთი ლექსით, რომელიც შენახულა ჩვენი სიძველეთსაცავების მთელ რიგ ხელნაწერში 1). ეს ლექსი „ჭოი ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი“, თემატიკით ძალიან უახლოვდება მარიამის ლექსებს; შინაარსის მიხედვით, იგი დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით 1805 წელს, ქეთევანის პატივსაცემად დროს.

ქეთევანი იმავე კულტურულ ატმოსფეროშია აღზრდილი, როგორც მისი უფროსი და მარიამი. ისიც ახლოს იდგა თავისი დროის ლიტერატურულ და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, ისიც განიცდიდა იმ კულტურული გარემოების გავლენას, რომელიც ხელს უწყობდა ბატონიშვილების გონებრივ და ესთეტიკურ აღზრდა-განვითარებას.

ქეთევანი დაბადებულია 1764 წელს²⁾. იგი ცოლად ჰყავდა იოანე მუხრან-ბატონს, მას ირაკლი მეფემ მიუბოძა სახლთხუცესობა, რომელიც წინეთ ჩამოართვა მეორე სიძეს, სარდალს—დავით ორბელიანს³⁾.

ქეთევანის ცხოვრების შესახებ რუსეთის ხელისუფლების დამყარებამდე ძალიან ცოტა ცნობები მოგვემოცა. ამ დროიდან აღსანიშნავია მხოლოდ ორი მისი წერილი, მიმართული იოსებ მიშკარბაშის მეუღლის ქალუსადმი⁴⁾.

1) ეს ხელნაწერებია: ა) წ. კ. № 1512 (გვ. 206—208), ბ) წ. კ. № 2455 (გვ. 4—7), გ) წ. კ. № 3723 (გვ. 222—223) და დ) წ. კ. № 1543 (გვ. 18—19). ჩვენ ვბეჭდავთ ქეთევანის ლექსს ხელნაწერების № 1512 და № 3723-ის მიხედვით.

2) „აქტების“ მიხედვით, 1801 წელს ქეთევანი 37 წლის იყო (Акты, т. I, გვ. 199)

3) პლ. იოსელიანი—„ცხ. მეფე გიორგი მე-XIII-ისა“, გვ. 17. დავით ყაფლანისწილი—ორბელიანი (1716—1796), სიძე ირაკლი მეფისა, სახელგანთქმული სარდალი და მეომარი. ბესიკი მისი ახლო მეგობარი იყო. დავითი მსხვერპლი შეიქნა ირაკლის კარზე გამეფებულ ინტრიგებისა, დავით ორბელიანის კალამს ეკუთვნის „ყარა-მანიანი“-ს თარგმანი.

რუსეთის თვითმპყრობელობის დამყარების შემდეგ, ქეთევან ბატონიშვილი ეკუთვნოდა ქართველ ფეოდალებსა და ბატონიშვილებს იმ უკმაყოფილო ბანაკს, რომელიც აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა ახალ მთავრობას. ჩვენ მოგვგობება პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, რომ ქეთევანს კავშირი ჰქონდა სპარსეთში გაქცეულ ალექსანდრე ბატონიშვილთან და მთიულეთის 1804 წ. ამბოხების მეთაურებთან.

მთავარსარდალს, პავლე ციციანოვს, ქეთევანმა ბევრი თავსატეხი და საზრუნავი საქმე გაუჩინა. 1805 წლის 2 თებერვალს ციციანოვი სწერს საგანგებო მოხელეს სტატსკი სოვეტნიკ ტარასოვს: „მრავალრიცხოვანმა დაკითხვებმა გვიჩვენა, რომ მეფე ირაკლის ასული ქეთევანი მონაწილეობას იღებდა აღნიშნულ ამბოხებაში (იგულისხმება მთიულეთის აჯანყება 1804 წ. ლ. ა.), ამიტომ, თუ საჭირო იქნეს მისი დაკითხვა, ან ვინც...“

4) „საქართველოს სიძველენი“ ტ. III, გვ. 70—71 და 83. წერილები დათარიღებულია 1797 და 1800 წლ.

მესთან პირისპირ წაყენება, ყოველივე მოიმოქმედეთ ჩემი ნებართვით“⁵⁾.

ქეთევანის საქმიანობისა და როლის გასათვალისწინებლად, რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობაში, საგულსხმო დოკუმენტს წარმოადგენს აგრეთვე ციციანოვის „უქვეშემოდომილესი რაპორტი“, დათარიღებული 1805 წ. 29 თებერვლით.

ქეთევანი მუდამ არაკეთილსაიმედო პიროვნებად ითვლებოდა რუსეთის ხელისუფალთა თვალში⁶⁾.

გასული საუკუნის ოციან წლებში, ქეთევანს ცხოველი მიმოწერა აქვს რუსეთში მყოფ ქართველ ემიგრანტებთან.

1820 წელს რუსეთიდან მას წერილებს უგზავნის მოხუცი პოეტი დიმიტრი ბაგრატიონი, ავტორი გალექსილი „ქეთევან დედოფლის წამებისა“⁷⁾ და სხვა პოეტური ნაწარმოებისა.

დიმიტრი ბაგრატიონმა თავისი „წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა“ ცალკე წიგნად დაბეჭდა პეტერბურგში 1822 წელს. თავისი ნაშრომი მან უძღვნა ქეთევან ბატონიშვილს: წიგნს დართული აქვს „პოტიკური ლექსით მიძღვნა“:

მეფის ასული, ქველ კეთილ სული,
ძვირ უფასული, ქეთევან რქმული...
მონარგიზული, ჯერ არ დაზრული,
პირმომაზული სადაფ განფული...

მიმართავს პოეტი ქეთევან ბატონიშვილს, რომელიც ამ დროს სამოც წელს არის მიღწეული...

ქეთევანის ყველა ლექსი, გარდა ერთი ცნობილი ლექსისა, ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს: მათი კვალი არაა ჩანს ჩვენს არქივებში.

ქეთევანიც, თავის დასთან მარიამთან ერთად, დასტირის გარდასულ დროებს, „ბედნიერთ პალატა“,—აწ დახმობილთ, გავერანებულ წალკატთ, რომლებიც აღარ იფურჩქნებინან.

ალეგორიულ ფორმებში იგი გადმოგვცემს რუსეთის იმპერიალიზმის შემოჭრასა და სამშობლო ქვეყნის გავერანებას, სამეფო ოჯახის დანგრევას და ბატონიშვილების გადასახლება; ქეთევანი მწარედ უჩივის თავის მწარე ხვედრს: პატივობას და მოსალოდნელ უბედურებას:

... „ჩრდილოდ მგზავრობას,
უტხოხ, მწირს ადგილს გრძოლად
სადღურობას“.

ქეთევანის ლექსი თავისი შინაარსით და საერთო განწყობილებით ძალიან უახლოვდება მარიამის ლექსებს. ორივე ქალის შემოქმედება ერთი საზოგადო მოტივით არის აღძრული,—მათი ლექსები ერთსა და იმავე სოციალურ გარემოცვას ემსახურებოდნენ თავის დროს.

5) Акты, т. II, გვ. 336.

6) მთიულეთის 1804 წ. ამბოხების ერთი მეთაურთაგანი, უფროს ძასთან,—იულონ ბატონიშვილთან ერთად.

7) დიმიტრი ბაგრატიონის წერილები წ. კ. № 303—იხ. „თავაშივილის—Описания...“ ტ. II, გვ. 425.

დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონი იყო ქართველ მეფეების შთამომავალი (შვილისშვილი იესე მეფისა). დაბად. მე-18 საუკ. ორმოციან წლებში, რაღაც დანაშაულისათვის რუსეთში იქნა გაძევებული. დ. ბაგრატიონს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთში მყოფ ქართულ პოლიტიკურ და ლიტერატურულ წრეებთან, აგრეთვე ხშირი მიმოწერა ჰქონდა საქართველოში მყოფ წარჩინებულ პირებთან. დ. ბაგრატიონის ლექსები იხ. „ანთოლოგია“-ში, ტ. II, გვ. 249—256, ტფ. 1928 წ.


უცებ გასწორდა და, როგორც ელვა, მოწყდა მიწიდან, გასწია ზევით. ფრთების ტკაცუნის ჰგავდა ზღვის ღელვას. როდესაც პირის აპოლდა რჩებოდა.

სად არ ყოფილა რაიმე უნახავს: თეთრულდის მთა თუ მკინვარის წვერი! ბევრჯერ ორბივით გადაულახავს ქარიშხლიანი ყინულის ველი.

თუ კი ოდესმე მტერი გაბედავს: წამოვა ომის სეტყვა და ქარი—ის ტყვიასავით მტრის გულს გახვრტავს სადარჯლოზე ლომივით მღვარი.

ხანდახან ღამით—კრძაღვით, რიღებით სხივებგაშლილი დამცქერის თავზე და, ვით ასხმული მარგალიტები—წველი ვარსკვლავი უბრწყინავს ფრთაზე.

ალტაცებულმა მინდა შევძახხო: „ხელი მომხვიეთ, წამიყვათ ფრთებო ზევით, სულ ზევით! მეც მინდა გნახოო, გულში ჩაგვირათ, სამშობლო მთებო!



ნაციონალიზმის ტრუზადუკები

ასეთი სათაური თანა მოთავსებული წერილი „კომსომოლსკიას პრავდას“ 10 თებერვლის ნომერში. წერილის ავტორი ნ. ხარკოვსკი ლაპარაკობს „მოლოდაია გვარდიას“ გამოცემულ წიგნზე „Молодая поэзия народов СССР“.

როგორც კრებულის წინასიტყვაობიდან ირკვევა, —ამბობს ავტორი,—კრებული ძირითადად შედგენილია ნაციონალურ რესპუბლიკების ახალგაზრდა კომკავშირულ პოეტების ნაწარმოებისაგან. მაგრამ რამდენიმე ფურცლის გადათვლიერებისთანავე ნათელი წარმოსადგენი ხდება, რომ ეს ფრიად მნიშვნელოვანი საქმე „მოლოდაია გვარდიამ“ ჩააბარა უპასუხისმგებლო და როგორც პოლიტიკაში, ისე ლიტერატურაში უცოდინარ ხალხს.

ამ კრებულში მოთავსებულია, როგორც ახალგაზრდა კომკავშირული პოეტი ვლადიმირ სესიურა,—ეს პოეტი სიმონ პეტლიურას საყვარელი პოეტი ყოფილა. მისი პოემა „Пазргом“, კრებული „Сержуе“ გაუღვინილია უკრაინელ ნაციონალისტების იდეებით. ლექსში „Снега“, რომელიც „მოლოდაია გვარდიას“ კრებულშია მოთავსებული, პოეტი ცდილა გაემართლებია პეტლიურაზე.

„ახალგაზრდა კომკავშირულ პოეტებში“ ჩაურიცხავთ ნაციონალისტურ ორგანიზაციის „პროლეტარატის“ აღზრდილი, ფაშისტების ლიტერატურული კუდი ვასილ მისიკი. ეს პოეტი განამართლებულ და მსჯავრდადებულ იქნა თეთრგვარდიულ ტერორისტების საქმესთან დაკავშირებით. და ასეთ პოეტს რა უნდა ჰქონდეს საერთო კომკავშირელებთან. ასეთი შეიძლება ითქვას ივან კალინინიკი. ეგვან ფომინი.

უკრაინის საუკეთესო ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებიდან კი ამოურჩევიათ ნაკლებად საინტერესო და მათი შემოქმედებისათვის ნაკლებად დამაასათებელი ნიმუშები.

უკრაინის კომკავშირის საყვარელი, ნიჭიერი პოეტი ლეონიდე პერეკოშიაიკი წარმოდგენილია ძველი ლექსით, რომელიც 5—6 წლის წინად არის დაწერილი. ტექსტის თარგმანებიც შესრულებულია გულაგდებულად და ზერელედ.


ჩვენ ვცვირობთ—დასკვნის ხარკოვსკი—რომ კრებული სრულიადაც ვერ ამართლებს თავის სახელწოდებას. კრებულში არ არის წარმოდგენილი ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური ლიტერატურის რჩეული ახალგაზრდა წარმომადგენლები.

კრებულში მისიკის, სესიურას, ფომინას, კალინინის ნაწარმოების დაბეჭდვით „მოლოდაია გვარდიამ“ გამოიჩინა კლასობრივი სიფხიზლის უქონლობა, პოლიტიკური სიბეცე, რაც გამოიყენეს პარტიის მტრებმა, რომ გაეთრიათ თავიანთი ნაციონალისტური კონტრბანდა.



სპორტიონს

მაყვალა მრევლიზვილი
ფეხი დაადგი
ლურჯ ცასავით მოწმენდილ მიწას,
შიშველ წვივებზე მზე თამაშობს და
გათამამებს.
წინ—გზა ლარია გაჭიმულა,
ლოღანი გიცავს,
და ოცნებაში
ფინიშამდე შენ ითვლი წამებს.
გწვავს ხალხის თვალი,
მუხლი გერჯის,
უდრეკმა ძალამ, წუთით მოვლუნა, ჩაიჩქე,
არე გაუჭიდა.
ხიჩუმე დაწვა წუთის ერთი ნაათახალით,
კალმახი გული—
გარიყული ძაბავს ლაყუჩებს.



ლიტგაზეთი

1

ქსენოფონტე ამ სიბერის ეპოს მესამე-ჯერ ესტუმრა ტფილისს.

სულ დაიბნა საბრალო!

წინათ გადმოხტებოდა თუ არა მატარებელიდან, გაივლიდა ბაქანს, პირდაპირ მიადგებოდა ვასასვლელ კარებს და ქალაქში გადიოდა. ახლა კი... სადღაც გააჩერეს მატარებელი. სადღური სულ არ ჩანს. მატარებლებს შუა ფართო ბაქანი მიყვება და სად წავიდეს, არ იცის. გამოკითხოს ვინმეს? რცხვენია!

მიყვა ისევ ხალხის ტალღას. რაღაც უცნაურ შემთხვევას ვეკრულ ქონს მიადგა, ფართო კიბეები ჩაიარა და გრძელ ვიწრო დერეფანში გაჩნდა.

— რაცხა სხვაგან მოხვდები, გონია— გაუფელა თავში, მაგრამ ისევ ხალხის ტალღას გაყვა და სადღაც დიდ დარბაზში გავიდა. თუმცა დილა იყო, მაგრამ დარბაზი ელექტროთი იყო განათებული. ვერც კი მოასწრო დარბაზის კარგად დათვალიერება, რომ ხალხის ტალღამ ის გარეთ დაიყვანა, და მაშინ დაინახა ქსენოფონტემ უზარმაზარი მოედანი, აუარება ავტომობილი, კრიალა, წითლად შეღებილი ტრამვაები და დიდი ავტობუსები.

თავისი პატარა ფუთა უფრო მაგრად ჩაბლუჯა და გაცეცხებული თვალებით დაუწყა თვალიერება ახმაურებულ მოედანს.

— აბა, ავტო-მანქანა. მობრძანდით! ეტლზე იაფად წაიყვანთ!

— აბა, ეტლი...
— წასაღები თუ გაქვთ...
— წამოდი ქალო, წამოდი...
— ნელა, მანქანა არ დაგეჯახოს...

ხალხი ფუსფუსით გარბოდა. ჩემოდნებით, ხურჯინებით, კალათებით მირბოდნენ ტრამვაის გაჩერებასთან, სხდებოდნენ ეტლში, ავტობუსებში.

— პაპაშაჯან, მიიტა ფუთა წავიღო...
ქსენოფონტე გამოერკვა.

— არა შეილო, მეც მოვერევი— აბნეულად უბასუხა ქსენოფონტემ, ფუთას დახედა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ადგილი გადინაცვლა და ისევ ახმაურებულ ქალაქს დაუწყა ცქერა.

როგორ გამოცვლიდა ტფილისი, სად იყო აქ ამოდენა მოკრიალებული მოედანი. რიყის ქვით მოგებული ვიწრო ქუჩა, პატარა ბაღი და პირდაპირ სულ ბინძური სასტუმროები.

ქსენოფონტემ ისევ დახედა თავის ფუთას, შემდეგ შორს სადღაც მთის ძირში სახლების თავების გადაღმა ეკლესია შეამჩნია, იმ ეკლესიას ღვთისწყა-

ლობა შესთხოვა, პიჯვარი გამოისახა და ქუჩას გაუყვა.

ახლად გალვინებული ქალაქი კი ხმაურობდა, ხმაურობდა.

2

ერთი უცნაური თვისება ახლდა კოქლ გაპანას. უცნაურად მორწმუნე კაცი იყო. ისე თვალს ვერ გაახელდა, რომ ლოცვა არ წარმოეთქვა, სახლში ხატებიც კი ეკიდა, მაგრამ ჭირივით ეზარებოდა მღვდლების დანახვა. მორწმუნეობასთან ცრუმორწმუნეობაც სდევდა და ორშაბათ დილით რომ მღვდელისთვის თვალი მოეკრა, მორჩა! იმ კვირას ხეირს ვერ ნახავდა. დანავსული იყო. კიდეც აფურთხებდა, იგინებოდა და ყველა სავალდებულო წესებს ასრულებდა, რაც კი შემოღებულია ასეთი ნავისის საწინააღმდეგოდ, მაგრამ არაფერი არ შევლიდა.

იმ კვირას მუშტარს ველარ ნახავდა და მხოლოდ ძველად შეკერილ შარვლებს თუ დაარღვევდა და ისევ შეკრავდა, თორემ სულ უქმად უნდა მჯდარიყო.

ამიტომ ყოველ ორშაბათს ვაჭანა თავის დუქანში ისე მოდიოდა, რომ თავს მალავდა არ აიღებდა, სულ ფილანქანს დაეკეროდა. ასე თავიჩინდრული გააღებდა თავის პატარა სამკერვალო დუქანს. უთოსთვის მაყალას გააღვივებდა და ქუჩისკენ მანამ არ გაიხედავდა, სანამ პირველი მუშტარისაგან სიტფას არ აიღებდა.

დღესაც, ის იყო, გააღვივა მაყალა, რომ ამ დროს დუქანში ვილაცა შემოვიდა. ვაჭანა ზურგშექცეული იდგა და, იგრძნო თუ არა რომ დუქანში მუშტარი შემოვიდა, სიამოვნებით შეიშმუნა, მოიხედა და... უთო ხელიდან გაუვარდა.

დუქანში ქალარა შერეული, წითელწვერა მღვდელი იდგა და ილიით რაღაც ფუთა ეჭირა.

— აქა მშვიდობა! დინჯად წარმოთქვა ხუცესმა, მიმოიხედა და მოკრა თუ არა თვალი დანჯღრეულ ვენურ სკამს, მაშინვე ზედ ჩამოჯდა.

ვაჭანას ენა დაება. ნავისის საწინააღმდეგო რიტუალების შესრულებაც კი ველარ მოახერხა.

— შეილო, მატერია მოვიტანე. ანაფორა მინდა შევიკერო. რაც მქონდა შეკერილი სულ დამეხა და, ხო ხედავ, ამ შემოდგომაზე თეთრი ანაფორა მაცვია. შეილმა გამომიგზავნა კავკავიდან ეს მატერია...— დინჯი საუბრით გამოიძრო ილიიდან ფუთა ქსენოფონტემ და გაშლა დაუწყა.



— ვა, ასეთი ხათა იქნება?— უნებურად აღმოხდა ვაჭანას.

— ისე მატერიას არა უშავს რა, ძველებური კი არაა, მაგრამ, რას იზამ, შეილო. ამას, ტანზე რომ მაცვია, მაინც ჯობია...

— ვა! ვა! ეხლა მთელი თვე სულ უქმად უნდა ვიღვე...

— აჰ! ერთი თვე ამას რავა მოუნდები, შე კაცო! იქნება სამ დღეში მომისწრო, მეტ ხანს ვერ დავრჩები. უცხო კაცთან ვარ სტუმრად. შეკერვაში ბევრს ხომ არ აიღებ. ხომ იცი, ახლა ჩვენი ხელობა...

ვაჭანა თანდათან სიბრაზემ აიტანა. უცებ დახლიდან გამოვიდა და ქსენოფონტეს მიუახლოვდა.

— ძია. რას მერჩი, რა გინდა ჩემგან...

ქსენოფონტემ შეშინებულად აიწია და გააფრთხებულ ვაჭანას ხმის კანკალით უბასუხა.

— ანაფორა მინდა, შეილო, რო შევიკერო. მომასწავლეს ღვთის მორწმუნე კაცია და ის შევიკერავსო.

ვაჭანამ კბილები დაახრჭიალა.

— ვინ მოგასწავლა, მე იმისი...

— აგერ, შეილო, იმ დუქანში მითხრეს— ანიშნა ქსენოფონტემ.

— ჰა! ჩოფურა გეურქამ? იცი, რა გითხრა, პაპაშა! წადი იმ გეურქასთან და...

შეშინებული ქსენოფონტე აჩქარებულად მიიხივებდა ქუჩაში და გულმოდგინედ ახვევდა ქალაქში თავის საანაფორე მატერიას. მას ვერასოდეს ვერ წარმოედგინა, თუ ღვთის მორწმუნე ადამიანის პირიდან ასეთი საშინელი სიტყვები ამოვიდოდა. დაწულნი თმა ყალყზე დაუდგა.

3

— გამარჯობათ.

ყურადღება არავინ მიაპყრო. უღვაშებ-დაკრაქნილმა თერძმა ნემსში ძაფი გაუყარა და ღირკილოების დამაგრებას შეუდგა. მხოლოდ კუთხეში მიუყუდებდა შეგირდმა გადააფურთხა და უთოს დაუბერა.

— შესაკერავი მან რაცხა და ვერ შემიკერავთ? თერძმა კბილით გადაწყვიტა ძაფი და ქსენოფონტეს მოღუშულად შეხედა.

— რა გინდა რო შევიკერო, მამაო?

— ანაფორა მინდა, შეილო. იქნება შემიკეროთ როგორმე!

— ჩვენ არ ვიცით მაგის ხელობა, სხვასთან მიდით— უგუნებოდ უბასუხა თერძმა და მეორე ღირკილოს დამაგრებას შეუდგა.

ქსენოფონტემ უნუგეზოდ მიმოიხედა. ილიაში ამოჩრილი ფუთა შეისწორა, თერძს შეხედა და ჩილაპარაკა:

— რა ვქნა, მთელი ქალაქი შემოვიარე და სუყველამ უარი მითხრა.

— შე დალოცვილო, ვინღა იკერავს ახლა ანაფორას! მთელ ქალაქში ხუთიოდე მღვდელი დაქინცილობს. დაანებეთ, ბიძია, მაგ ღვდლობას თავი. ველარ ხედავთ გამეიცვალა ქვეყანა?

— რა ვქნა, შეილო, ძველი კაცი ვარ და რა ვუყო?

— ერთი ეს მითხარი, ძია— ახიხედა ზემოთ შეგირდმა— გწამს ღმერთი?

— აბა, ვერ შემიკერავთ, ჰა!— არ უბასუხა შეგირდს და ისევ თერძს მიუბრუნდა ქსენოფონტე.

— ვერა, მამაო, ვერა. ჩოხას შევიკერო, თუ გინდა! იმისთანა ჩოხა შევიკერო, რომ მუხრანსკის არ ცმოდეს უკეთესი. კახურ მოკლე ჩოხას. გრძელ სახელოებიანს...

ქსენოფონტემ ხელი ჩაიქნია და გარეთ გავიდა.

— ბაზარში ჩადი, მამაო, ბაზარში, იქნება იქ შევიკერონ— მიადახა თერძმა.

ხუცესს არ გაუგონია თერძის სიტყვები. აჩქარებული ნაბიჯით დაუყვა ქვემოთ. მხოლოდ ერთ ადგილას შეჩერდა, ეკლესიას ახედა, პიჯვარი გადაისახა და ისევ გზა განაგრძო.

4.

ბაზარში ჩვეულებრივი ხმაური არ ისმოდა. პატარა ფიცრული დუქანების ღმეტესობა დაკეტილი იყო, რადგან ორშაბათობით იშვიათად თუ გაივლიდა მუშტარი. მხოლოდ აქა იქ ოსტატებს გაეღოთ თავიანთი სახელოსნოები და უგუნებოდ მუშაობდნენ.

მოკიდევ შექრო იარმუქელსაც გაღებული ჰქონდა თავისი ფარდული და მაყალის გარშემო შემომსხდარ ძმა-ბიჭებთან ტკბილ პურსა ქამდა.

— ვა კაცო! მე იმოდენა ხალხი ცირკში არას დროს არ მინახავს,— უამბობდა შექრო თავის მეგობრებს,— არბიტორი აცხადებს: ახლა იჭიდავებენ პარტნოვი შექრო და სანდრო— ყასბის ძმაო. ზურნამ რო არ დაუქრა, სულ პრიპადკა მამივიდა, ჩემმა მზემ.

— ვა! ვორ ტელიც ერევაც, აიტ კარმირ სატანან— გააწყვეტინა შექროს სიტყვა არტაშამ.

მოიხედეს.


დუქანთან ქსენოფონტე იდგა და ფარდულის წინ ჩამოკიდებულ შარვლებს ათვალიერებდა.

— რა გნებავთ პაპაშა, წამოხტა ფეხზე შექრო,— შარვალი? მირავოი რამეა, ჩემმა მზემ. სულ იაფად.

— არა შეილო შესაკერი მქონდა რაცხა.

— პუელსტა, პაპაშაჯან, შესაკერიც შეიძლება! რა გნებავთ ვალიფე, ჩარლსტონი, ბრიჯი.

(დასასრული შემდეგ გვერდზე)



ოლიმპიადა ფოთში

ფოთში ჯერ კიდევ გასულ წელს ჩატარდა მესამე მხატვრული შემოქმედების პირველი ოლიმპიადა...

ადგილობრივი განათლების განყოფილება ოლიმპიადისათვის სამზადის შეუდგა 1934 წ. ოქტომბრიდან...

ოლიმპიადის მოწვევა ფოთის მუშათა თეატრში; დაიწყო 18 იანვარს და დამთავრდა 23 იანვარს...

ბიანი ორკესტრი, ჩონგური, ვიოლინო და ფორტოფანო.

პიესები და ინსცენირებები ეხებოდა კოლხეთის ამოწმების პრობლემას, ციტრუსოვან მცენარეთა გაშენებას...

ოლიმპიადის დაესწრა 4200 მაყურებელი, რაც გვიჩვენებს, თუ რა პატივისცემით და ყურადღებით ეპყრობა ფოთის მშრომელი მოსახლეობა...

ადსანიშნავია მშობელთა კომიტეტების და ცალკეული მშობლების აქტიური დახმარება ამ მუშაობის ჩატარებაში...

ოლიმპიადის ჰქონდა დიფიკეტებიც. მთელ რიგ სკოლებში ცუდადაა დაყენებული ფიზკულტურის საქმე...

სოციალისტურ სოფელს - მხატვრული ლიტერატურა

მხატვრული ლიტერატურისადმი მისწრაფება დღითიდღე იზრდება. ეს ზრდა განსაკუთრებით თვალსაჩინოა საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობის შემდეგ...

ტროიკის კოლმეურნეთა ეს აზრი შეიძლება უდაოდ მივიღოთ, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის კოლმეურნეთა აქტივის აზრი...

ჩვენი „ლიტგაზეთი“ მხატვრულ ლიტერატურის ფართო მასებში შეტანის საქმეში დიდ როლს თამაშობს...

მეში არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს „ლიტგაზეთის“ მიერ რაიონულ გაზეთებს რედაქციებთან კავშირის გაბმას...

ალბათ, საქ. მწერალთა კავშირი და „ლიტგაზეთის“ რედაქცია გამონახავენ საშუალებებს და მიიღებენ ღონისძიებებს...

ლ. ხეთაგური

(გაზეთ „ახალი მთიულეთის“ რედაქტორი)

მუშათა თეატრი ფოთში არსებულ ყველა ტიპის სკოლების მხატვრული ლიტერატურული შემოქმედების მატერიალი ოლიმპიადისათვის

მაკაუბიანი

გაზეთ „კომუნისტი“ და „ახალგაზრდა კომუნისტი“ ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ...

კავშირული პროპაგანდის მხატვრული ლიტერატურის დახმარებით წარმოებას მართლაც, ეს დიდი საკითხია...

„კომუნისტი“ 17 თებერვლის ნომერში, ამ: ყურთუას წერილში საინტერესოა შემდეგი შენიშვნა ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაზე...

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ 18 თებერვლის №-ში მთელ რიგ მასალებს ათავსებს მხატვრული სიტყვით პროპაგანდის საკითხებზე...

საჭიროა სათანადო კულტურულ დაწესებულებებში და კაბინეტებში შეიმუშაონ სანიმუშო გოგამები მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდაში...

რაიონული გაზეთი „საბჭოთა სოფლის“ რედაქციის ინიციატივით და განათლების განყოფილების დახმარებით იწყება რაიონში ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადის გაშლა...

საკონკურსო მასალის დასასრული

— არა, ანაფორა მინდოდა შემეკერა... — ანაფორაა? — მაქრომ ბიჭებს გადახედა...

— კაცო, ის როგორ შაჰკერავს — შეაწყვეტინა ვანუამ. — ჩემმა მზემ, შაჰკერავს. ეხლა დამსკი ფასონები ისე არ არის?...

5. — ფუთა, ჩემი ფუთა... — აყვირდა — ქსენოფონტე. მგზავრები წამოიშალენ. ზედა საწოლებიდან ქვევით ჩამოიხედეს...

— გაიცინეს. — ქსენოფონტემ უნუგეზოდ მიმოიხედა. — რა ექნა, ახლა მე. — ეპ! რა უნდა ქნა, მამაო. იმას ვეღარ დაეწვიე. გეტყობა ბედი არ გქონია...

ლიტგაზეთი

